

**ხმოვანთა დისტრიბუცია
ქართული ენის ტაოურ დიალექტში
ON VOWEL DISTRIBUTION
IN TAOAN DIALECT
OF GEORGIAN LANGUAGE**

ხატია ჯანგავაძე
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი. საქართველო

Khatia Jangavadze
Caucasus University
Tbilisi. Georgia

ABSTRACT

Tao is part of historical Georgia that is within the borders of modern Turkey. Taoan Georgian represents an endangered dialect. In addition, it has a significant influence of both Turkish language and literary Georgian, therefore, it is of utmost importance to further pursue research on this dialect.

The paper presents a detailed specification and distribution of the vowel phonemes in the Georgian dialect of the Georgian language. The findings are compared to both literary Georgian and other Kartvelian dialects. Our aim is to demonstrate the findings analyzed with regard to the dialect speech patterns recorded in dialect expeditions conducted at different times (2006-2014) in Tao and Imerkhevi.

As the analysis of the Georgian dialect texts and scholarly studies illustrates, there are five phoneme vowels in both Taoan and literary Georgian: **a, e, i, o, u**. Their distribution is free and they are also identical in terms of their origin and type. Besides, similar to other Kartvelian dialects, the following are phonetic variations identified according to their different positions: **ā, ē, ī, ō, ū, w (<u), y (<i), ű, ű, ű**.

Long vowels (**ā, ē, ī, ō, ū**) are of secondary origin. The palatalized **ű, ű** occurs in both Turkish borrowings and Georgian materials. The neutral **ű** more frequently occurs after a consonant and represents a positional, phonetic variant of a given speech sound.

There is a frequent use of non-syllabic allophones of **i, u** vowels such as **y, w** which, in fact, are natural not only in dialects but also in the speech of modern Georgians who speak literary Georgian. Non-syllabic **w** has unlimited presence in almost every position. It mainly alternates with a labiodental **v** consonant; and it rarely rather than systematically alternates with **u**. One may identify the **w/v** alternation in the speech of one and the same respondent.

საკვანძო სიტყვები: ქართული მეტყველება, თურქული ენა, ტაოური დიალექტი, ხმოვანთა სისტემა.

Keywords: Georgian Speech, Turkish Language, Taoan Dialect, Vowel system.

ტაო ისტორიული საქართველოს ნაწილია, რომელიც დღეს თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. ტაოს ქართული კი გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფ დიალექტს წარმოადგენს; გარდა ამისა, ის ძლიერ გავლენას განიცდის როგორც თურქული ენის, ისე სალიტერატურო ქართულისას, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ დიალექტის კვლევა.

სტატია ემყარება ექსპედიციებში სხვადასხვა დროს (2006, 2008, 2009, 2012, 2014 წწ.) ჩემ მიერ ჩაწერილ და გაანალიზებულ დიალექტურ ტექსტებს¹, სადაც წარმოდგენილია ტაოურის ხმოვან ფონემათა დეტალური დახასიათება და დისტრიბუცია. მიღებული შედეგები შედარებულია როგორც სალიტერატურო ქართულთან, ისე სხვა ქართველურ დიალექტებთან.

1. ხმოვანთა სისტემა

ტაოურში, როგორც სალიტერატურო ქართულში, ფონემატური ღირებულების ხუთი ხმოვანი გვაქვს: **ა, ე, ი, ო, უ**. ამათ გარდა, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით გამოვლენილი ფონეტიკური ვარიანტებია: **ჰ, ჭ, ო, ო, უ, უ, ო, გ, ჰ, (ი>)ჟ, (უ>)ჟ**.

გრძელი **ჰ, ჭ, ო, ო, უ** ხმოვნები მეორეული წარმომავლობისაა. პალატალიზებული **ჟ, ო** გვხვდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ასევე ქართულ მასალაში. ნეიტრალური **გ** უფრო ხშირად თანხმოვნის მომდევნოდაა გავრცელებული და წარმოადგენს რომელიმე ბგერის პოზიციურ ვარიანტს. მას ფორმათგანმასხვავებელი ფუნქცია არ აქვს და, შესაბამისად, ფონემასაც არ წარმოადგენს.

სალიტერატურო ქართულისა და ტაოური დიალექტისთვის საერთო ფონემატური ღირებულების ხუთი (**ა, ე, ი, ო, უ**) ხმოვნის დისტრიბუცია თავისუფალია და ისინი წარმოებისა და რაგვარობის მიხედვითაც იდენტურია.

ა – დაბალი ანეულობის, ფართო, ზოგ შემთხვევაში უკანა, ზოგ შემთხვევაში შუა რიგის, არალაბიალური ხმოვანი; **ე** – საშუალო ანეულობის, წინა რიგის, პალატალური, არალაბიალური ხმოვანი; **ი** – მაღალი ანეულობის, წინა რიგის, პალატალური, არალაბიალური ხმოვანი; **ო** – საშუალო ანეულობის, უკანა რიგის, ლაბიალური ხმოვანი; **უ** – მაღალი ანეულობის, უკანა რიგის, ლაბიალური ხმოვანი.

2. ხმოვანთა დისტრიბუცია

2.1. გრძელი ხმოვნები

ტაოურში დადასტურებული გრძელი ხმოვნები ფონემებს არ წარმოადგენენ. ისინი მეორეული წარმომავლობისაა და მხოლოდ სიგრძით განსხვავდებიან ფონემატური ღირებულების **ა ე ი ო უ** ხმოვნებისაგან.

ტაოურ დიალექტში გრძელი ხმოვნები სხვადასხვა პოზიციებში გამოვლინდა. რიგ შემთხვევაში წარმოქმნილია:

¹დიალექტური ტექსტები იხ.: ბ. ჯანგავაძე, ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 2015

1. იდენტურ ხმოვანთა შერწყმით:

ა: დასხი, დასხი! (<დაასხი); ზმნისწინისეული ა ხმოვნის ვ- პირის ნიშნის შემდეგ გადასმისა და ფუძისეულ იდენტურ ა ხმოვანთან შერწყმის შედეგად: ვადულეფთ, ზამთრი ფჭამთა; აქო ა დევბადე, ამა მე ვაშენე; ჰო, მე ვაშენე ეს ქოხი, ე ქოხი მე ვაშენე. ავადულეფთ > ვადულეფთ > ვადულეფთ; ავაშენე > ვააშენე > ვაშენე... ზმნისწინის გადასმა პირის ნიშნის შემდეგ ტაოურში არცთუ იშვიათია; შდრ.: ვინაკიდებით < ნავიკიდებით.

ბ: მალეხიცი ქუყუაგან, კუტუნეხი, ტუტუნეხი (<კუტუნეხი, ტუტუნეხი); ასიმილაციის გზით: ედა შენც დეჩეი და დუდე ბეხას (დაეჩეი > დეეჩეი > დეჩეი);

გ: ხუთ თანე კაცმა ნიშანი მიტანეს (<მიიტანეს);

დ: ასიმილაციით: ყფუალ მუჭირავთ, ვადულეფთ, ზამთრი ფჭამთა (მოუჭერთ > მუჭირავთ > მუჭირავთ).

2. დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ:

– **რ** ბგერის საკომპენსაციოდ: ამა ზოგნი გაბდან კაცები; ისე ყავემ-მავეში გაბდან ზოგნი; ხანში ისინი გაბდან დათვები; ა იციან ადგილები? ა ვიცი, ისე რამ იტყვიან; ა მენონა; თუე, მათი, აპრილი, მადსი; დუეგვეცემაო და კავათ გაფხეგნაფსო; თადამ ყვადლი აქა, ი ვადია; ვადი ერთი, მერე სოდ კიდე არი და ყაყაჩო; მათო ვერ წავალთ; მოუკუდები ჩასვლამდე, მათო ვარ, ავინ ა მახლაფს; ა, ახლა სნებესია; ამ ჩუენ ქოფსა ეთი კილო მაჰალე არი; ფილაფ, ებო ჩუაგდე; დუგუნში იმათ ვიჯებით: ხაჰცი, ტოლმა.

ზოგ შემთხვევაში რ ბგერა არაა დაკარგული იქ, სადაც მოსალოდნელია და გრძელი ხმოვანი მაინცაა წარმოდგენილი, რაც გამონვეული უნდა იყოს ზოგ შემთხვევაში რ-ს არტიკულაციის მიზეზით (ძალიან სუსტად წარმოთქმის გამო), ზოგჯერ კი მახვილით: გინდა დათესე, გინდა ეილე, შიდან დარგე; ხუთი ძმა ვართა ჩუენ; ის ცერეკარი; ჩემედარ, ჩამოხვალ, ბასლეკარი არი; ახლა სნებესათ წავალთ, მოვკლავთ; ეს სარი, სარი, ლეხოსი სარი; ბიჭი ანათან გაფგაფენე, სარცხელი-ნა გამეჯტანოს.

– **ჰ** ბგერის საკომპენსაციოდ: სხვა მალეფჩი რა ვიცი; ჯევაფსა მალე დეთი არი.

3. ტონური მახვილის შედეგად:

ა: თომატისი და, გინდა დათესე, გინდა ედლე, შიდან დარგე; კაფა, ზაზა კაფ; შექერ დუასხამთ; დაჰთუთქავ და ისი ემე იქამ; აჰა, ჩუენ გურჯები ზაზა გუიყუარან; ასე ვდარებოდი, ასე გურგუალი ემეა; წყალ დუასხამთ, სალჩა გურევთ, მარილი, ბაჰარათები; დუგუნი ჰალვა ისა; არბუზი ჭამე და; აქოს სამი კაცი მოსულან.

ბ: გუაწმოფთ ასე დიდი ემეფა.

გ: ყვბართმა ვიქთა, მახრაკული; არსა მივალ დაქი, ემე ვიცილი; ო ჩუენში, ო, ახლა გატენილნი არდან; ფეხი გუადგი ქი, რა გადგამ, ო, დათვი ადგა, ო მიყო ასე.

დ: მი შერბეთ დუასხამთ, ეჰე, რად გედარენო შენა? გაცხელდება ისე, ცომ ჩავრთეფთ; არაბა თელი ქუაბა და გახვიდე.

ტაოურის მსგავსი გრძელი ხმოვნები მეტ-ნაკლებად დასტურდება სხვა დიალექტებშიც: 1. თუშურში, აჭარულში, ფერეიდნულში (ჯორბენაძე 1998: 26; ჯორბენაძე 1989: 543; ნიჟარაძე 1975: 20; უთურგაიძე 1960: 12); 2. აჭარულში, თუშურში (დიასამიძე 1978; ჯორბენაძე 1998: 28; ჯორბენაძე 1989: 254; უთურგაიძე 1960); 3. მთიულურში (ჯორბენაძე 1989: 279; ჯორბენაძე 1998: 28; ჩიქობავა 1924; ჩიქობავა 1937: 34; კობაიძე 1980); 4. ქართლურში, კახურში, მესხურში, ფერეიდნულში (ჯორბენაძე 1998: 31-32; ჯორბენაძე 1989: 293, 381, 321; მარტიროსოვი 1984).

2.2. გ ნეიტრალური ბგერა

ტაოურში ნეიტრალური გ უმთავრესად თანხმოვნის მომდევნოდაა გავრცელებული და წარმოადგენს რომელიმე ბგერის (ძირითადად ი ან უ) პოზიციურ ვარიანტს. მას ფორმათგანმასხვავებელი ფუნქცია არ აქვს და, შესაბამისად, ფონემასაც არ წარმოადგენს.²

გ გვხვდება ქართულ და თურქულ ლექსიკაში C-C და #-C პოზიციებში.

1. **ქართულ სიტყვებში:** C - C: გავალთ შეშას ჩემევეტანთ, შეშას ჩემევეტანთ სახლა კარისთუნ; შორვა ვიჯებით, ტყისძერ მივდივარ; ამ ყუელსა ხემელი ყუელი ვიტყვით, ხემელი ყუელი, ო... შად კვლდე, გაფსკტა, შენი თუალი ტკივილი გასგკტა, გაქარდა; რა თქმა არი სარცხეპად გურჯიჯაში? მონგყენილი, ო; ტყისძერ მივდივარ; მემრე ზურგით ჩემუზიდავთ აქა; ნემოხვალ ასე; ძერად, სახლისი ძერად; ფერინჯ ვაყრით, ფერინჯ, ჰე; კავა სექელისაც არ-და იყოს; გემოფსნევთ, იმ ერბოს ცალკე შეფჰყრით; ტკებილია ისა, ტყემლები ჟავეა; ზენგინ ალაგა დენტხუნით, გემუჯჰარტლედთ ერთი.

ფუნქციურად ნეიტრალური ბგერა ანაპტიქსური ხმოვანი, თანხმოვანთგამყარია შემდეგ სიტყვებში: ხემელი, მონგყენილი, კვლდე...

2. **თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში:** C - C: ყგზართმა ვიჯებით; მოდი, ზემელი-ნა ფჯამოთ; ბეჰური, მელქიათი, ყერხი არი; მელქი, ათი ყერხი არი; ყფთალ მუჯირაფთ, ვადუღეფთ, ზამთრი ფჯამთა.

ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ გ ბგერა უფრო ხშირია თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ტაოურში მისი არსებობა ზოგადქართულ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენს, რასაც სხვა ქართველურ დიალექტებში დადასტურებული არაერთი მაგალითი მოწმობს.

2.3 ჟ,ო ბგერები

პალატალიზებული ხმოვნები როგორც ფუძეში, ასევე მორფემათა ზღვარზე „განსაზღვრულ პოზიციაში წარმოიქმნება და, ამდენად, იგი შესაბამისი ფონემის (ფონემათა კომპლექსის) პოზიციურ (ბგერით) ვარიანტს წარმოადგენს (ჯორბენაძე 1998: 37).

² ზოგადად, გ ბგერა იშვიათია ქართველურ კილოებში. მხოლოდ მეგრული და სვანური მეტყველებისთვისაა ნიშანდობლივი. სვანურში გ ხმოვანი ძირითად ხმოვანთა რიგში განიხილება (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, ა. ონიანი...), მეგრულში კი სისტემურ ზეგვილურ-სამურზაყანულსა და მარტვილი-ჩხოროწყუს რაიონების მეტყველებებში გამოიყენება. დანარჩენ რაიონებში სპორადულად დაჩნდება (დადიანი 2007: 1).

სამხრულ დიალექტებში პალატალიზებული ხმოვნები (ო და უ) მიღებულია შემდეგი ფონეტიკური გარდაქმნებით: ა) ვე > ო, ვა > ო, ე > ო; ბ) ვი > უ, ო > უ, ვა > უ, ი > უ (ფაღავა 2003: 145).

ტაოურ დიალექტში პალატალიზებული უ და ო ხმოვნები მიიღება: ვი > უი > უ და ვე > უე > ო გარდაქმნებით.

ანალოგიური ვითარებაა ინგილოურში, მოხეურში, ჯავახურში. ისტორიულად, პალატალიზებული ხმოვნების წარმოქმნისკენ მიდრეკილება ფერეიდნულსაც ახასიათებდა, თუმცა მეორეული წარმოშობის პალატალიზებულ ხმოვნებს იქ შემდგომში დეპალატალიზაცია განუცდიათ და სადა ხმოვნებს დამთხვევიან (ჯორბენაძე 1989: 364).

აღსანიშნავია, რომ ყველა ქართველური კილო, რომელშიც მეორეული წარმომავლობის პალატალიზებული ხმოვნები გვხვდება, ისტორიულად განიცდიდა, ან დღესაც განიცდის უცხო ენათა გავლენას (ფუტკარაძე 1998: 123).

ტაოურში პალატალიზებული უ და ო გვხვდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში, ასევე ქართულ სიტყვებში. ვერ ვიტყვით, რომ ქართულ მასალაში უფრო ნაკლებია, ვიდრე თურქულში.

1. თურქულ სიტყვებში: თამარა გურჯისტან დიდი ფადიშაღი ბგანო ყოფილა, აქ რუ უმენებია; ზედან ერბო მასწმიდეს, იშტა მისი დუგუნი; მზითევის, გამოსატანებელის საჯელი რა არი გურჯიჯა?; გურჯიჯა სახელი იმი სახელი ვერ ვეტყვი, არ ვიცი; ახლა ძე დალევთ, სუთლი ყავე გავაკეთოთ და სვით ლამაზებ; დალუმი ვერ მდარენია; ასე დათვები, გგზელი ბოტოტები არი და; ჩუქურები არი, ჩუქურები ასე, ი ბოზალთია ი ალაგი; გურჯიჯოლ-და გევნეთ; ქომო გოლი არი, გოლში ჩევდა; ჩოქ ხისუმები არიან მესელა მარადიდ;

2. საკუთრივ ქართულ სიტყვებში: უ: ზოგნი ემექნილა და, კარი ქი დუნყდევნდან; პარასკე, კურა, შაფათი; ახლა ემბეალიმედა, მოთუთქულები მაგადა, ა მინდა; მოთუთქული მაგა ქიბარები უნდა, მე ართუხ კბილები ამასხია და; ზედა ლებუა დუაყოლეფთ, სალჩასა, დომათისის, მოთუთქული დომათი³ ეგდა შენც დეჩუდე და დუდე ბედას; დოხსა და წინ და უკან აღა ჩუმუხუნა უნდა; ჩომოხუალ ფიშნაჯე არი, გახუალ, დუალეკარი; ახლა წუმა გვინდა, ო, ამა ნ წუმსა; მერთმა იშტასა გიგუინუმეთს, იშტასა ნ გიგუინუმეთს; ო, ახლასაც განუმდეს და დლით იყოს, ლამ იყო; იმა წყალში მოფხარშავთ, წყალ გუდუნურავთ; იმას დაფსჭრით, წყალში მოფხარშავთ, იმის წუენ წუნურავთ; კურა, კურა საღამოპირა ჩამოვალთ იქენდამ; ჯგმელი ყუელი, ი ზამთრისთუნ ჯგმელი ყუელი და; აღა ჩუმუა, ხუნა უნდა.

ო: ყოლ დღე არა, კვირეში ერთხელა; ჩომოხვალ ფიშნაჯე; რად გითხრა, ყოლი რამ, წყლისუკან; ჩუენ თევნარში ბეჭერი არი ჩიჩეგები, ყოლი ჩიჩეგი არი აქ; ახლა ქოღში ჩომოველით, თა გათავდა; ნადირი ისე

³ სხვადასხვა მოქმელის მეტყველებაში ეს სიტყვა წარმოთქმულია პალატალიზებული უ-თი.

არი ქი ალთმიში ოხა გომოვა, სამოცი ქილო გომოვა; ჯადები ჭედობენ; ფახლადა, წოხელი გ მევიტანე, მოფხარშე; დალი და სადლობელი გჭაქჭა; სადლობელ ერბო მევევანთ, შეფშამთ, ქივართ, წავალთდა; იმასაც ქართოლი, კავლა გიმედლეფსა, იმ კავლი ალაგეფ გაფსჭრით; ჩჷე ქართოლ ვეტყვით; ედა შექნილ არ იჯოლება; გალმა იქნება, მე არ ვიცი მე კარგა და, მე გომოლმი ვარა და; ი ერბო დანზე ქი ჩაყრილი დო მოა, წყალი მოა, ერბო თედეფში წყალი მოა, დოა, იმა დო ებნედან; კოლ⁴ რადგა ვიჯებით, იშთა ფურებ მოფსწველაფთ, იმასა სანურავში ამეველეფთ; ჩომოსულა ქომო, გოდლეკარ, გოდლეკარ ჩომოსულა.

პალატალიზებული ხმოვნები ტაოურში საკმაოდ მყარია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ძირითადად თურქულ სიტყვებში, მონაცვლეობს სალიტერატურო ქართულის ფონემატური ღირებულების უ და ო ხმოვნებთან: გურჯულისი პურცომ ვეტყვით; ონანსორა აღარ იცვან და გურჯიჯა; ზედან ერბო მსხმიდეს, იშტა მისი დუგუნი; ჰალვა დუდებდით, თილაფ დუდებდით, დუგუნია ისე...

2.4 დ და ჯ ბგერები

ტაოურ დიალექტში დიდი სიხშირით გამოიყენება ი-სა და უ-ს უმარცვლო ალოფონები **დ** და **ჯ**, რომლებიც, ფაქტობრივად, არა მხოლოდ დიალექტებში, არამედ სალიტერატურო ქართულით მოსაუბრე თანამედროვე ქართველის მეტყველებაშიც ბუნებრივია.

დ და **ჯ** წარმოდგენს სონორული ბუნების ბგერებს, შესაბამისად, შესაძლოა, რომ **ი/დ** და **უ/ჯ** განვიხილოთ სონანტებად.

პოზიციურად სონორული ბუნების წყვილბაგისმიერი მუღერი **ჯ**-სა და პალატალური მუღერი **დ**-ის გამოვლენა თითქმის შეუზღუდავია.

I. **დ** გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში: 1. **V – #** (ხმოვნის მომდევნო პოზიციაში), 2. **V – V** (ინტერვოკალურ პოზიციაში), 3. **# – V** (ხმოვნის წინა პოზიციაში), 4. **V – C** (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის).

1. **V – # პოზიციაში** **დ** გვხვდება სახელებთანაც და ზმნებთანაც: რაცხა ვიპოვნებთ იმაღ ვიხდა, არა ვიცი; ახლა თორი მყავსა მერამედად, მედბოდ მემედასი ბიჭი; აქვე ასე შიგან პეტერად დაბნდი კედედ; მასისი, პუტუტუდ, პუტუტუდ მასისი არი; ამ ჯედს სახელი ქობად არი, სხვა ხედ აღარ არი აქა; სახლი თავად სათივრე არი; პატინად, იმას მჷაკოჭეთ ემეზე; ჰო, მე გურჯულა, აქეჷრ გებნედ და; ი მემრეც კალოდ აღარვინა ლენაფს აქეჷრობაში; წევედ, წავიდნეს, მოვინეს; დილად მეცხვერე მისცემდეს ფურეფთა; გალმად ის არი, გალმად და; მასისი პეტერად თად და მონლეჷული.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, **V – #** პოზიციაში **დ** უფრო სახელობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტია. სხვა მაგალითები: როცა ფონეტიკური პროცესი უსწრებს წინ: იპოდდა < იპოვიდა; გებნედ < გეუბნები; წევედ < წავედი; ზმნისართებთან: უკანადც, გალმად.

2. **V – V პოზიციაში** **დ**-ს, უმეტესად, იძლევა ი: კადა აქეჷრი თივა, კადა აქეჷრი ნანჷელი; ილაჯი არ შეშქამ, გეჷარ, ი შექამე; ჯედრანი რადა?

⁴ მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა დავადასტურეთ სიტყვა ყველ-ის კოლ ვარიანტი.

ჯედრან უძახივართ; ერთ არაბად ჩედარენ; გიდალმი ქოდა, ჰო; ათღაორი თუ ათღაცხრადა?; თხადა, ქეჩი თხადა; მა რას გაღდღამ, მოღო; შენკადები ხარა, ასე შემეხვენებინ, გუხარდები; აქ დევბადე, ჩემი სახელი მემეღადა; ასე ჯევადა; ქომოღში ერთი მაჰალეში გამეღარეთ; ესეც თხადა, ვაცი, ვერძი; კად თეთრი შედა; ა იცღან ქი, ჩოფი რა თქმადა; არ ვიცით ქი ჩოფი რადა; ჩემი აღადა; თხადა, ერთანე ვაცი; შენი ლაჰარაკი კადა; ისე გიღეღარე მი, იმ თერეფში; ახლა არაბა გამოღდა და, გზადა; რადგეღარენო; სატღალანთო არი, თადა, თადა; ტჰადა, ტჰადა; წყალი რუდა; ესე ირმი და ცხრადა, ცხრა ირმუს უწინ; ე იმასაც ბიბერ ურთეფ კეღედა; მე არ ვიცი მე კარგა და, მე გამოღმი ვარა და; მახვადათებენ ასე და იცინღან და; მოთჷთქჷლები მაგადა, ა მინდა;

V-V პოზიციაში წარმოდგენილია ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად: გიღეღარე, გამეღარეთ, ჩედარენ, გეღარენო. ყველაზე ხშირად გვხვდება შედგენილ შემასმენელთან, მემეღელზმნიან თორმებთან: თხადა, გზადა, ტჰადა, ვარადა, თურქ. სიტყვაში: შედა... სხვა მაგალითები: **რ > ღ** შენაცვლებით: მახვადათებენ, რომელიც საკმაოდ გავრცელებული პროცესია ტაოურისთვის დამახასიათებელი არაავიბრანტი რ ბგერის გამო, რომელიც ხშირად იკარგება, ან **ღ-აღ** იქცევა.

3. # – V პოზიციაში **ღ** გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში Y-ს გაღმოსაცემად: დასალია და, უჩუმა მოკლენ, ჰო; ჩვენ არ ვინაკიღეფთ, დობ; მანგალით, ძირეღამ მოფთიბაფთ, დაღუბათ; დაღუბი ვერ მღარენია; პურ დუღებ, დაღ, მანონ; დასალია და, უჩუმა მოკლენ, უჩუმა, ჰო; ბეჷრ საჭმელებ არ ვიჯებით დანი; დაბანჯიღამ დავექორწიღდეფთ, დაბანჯიღამ ვიყოფთ; სიმღერები დამაფინყდა და, გეღგე?; დათვი მოკვლა დასალი; იქედან გამოხვალ ქი, გზაში, და ბალაზე გასულა; და შეფხდება, ჩამოვა იქიღამ; დობ, დობ, ეთამ ტუკრები მეღჷამა; იმაში თაფლი შერბეთი-ნა მღართვა, დერმანი დანი; ზემო ფიშნარჯევ დაღლაში, იქ დავბადულღვარ მეა; შიგან სხჷა რამ დანი ჩჷენი დუსუფელი იქობათი თეფზი; ისხამს, ჰო, დაღუბია; დაღულ, დაღახს მიეცემთ...

შეგვხვდა ქართულ მაგალითებშიც: და ვიცი „რა ვიცი“; ასე აქედამ, დეთიღამ წავალთ („იეთი“ ტოპონიმი); ჯევაღსა მწლე დეთი არი; დათჷი ყოღ ღამე დარება აქწობაში; დარაღზე ხელს შეღჯრაღ და, იმაზე ფენა კად იჯონღება ისა; სისხლ დაყენეფს, ემე დარა მოჰკრეფაფს.

4. V – C პოზიციაში წარმოდგენილია ზმნებთან, მორფემათა ზღვარზე, დადასტურებულია ზმნისწინისეული ხმოვნის მეზობლად: გეღღდება, გეღეღხეღავ, ჩამეღტანო: აი მეცეხჷარიღამ უნდა ჩამეღტანო; გევიღე, დაღღვე იქა, გეღგე? დესღვა ზეღდან და სისხლ დაყენეფს; ლანქერი დანოღიღ იყო, რეგეღცხა დწეცა; ზეღდან გიდაღვირჰიღით ემეცა, ნაღლონსა, რასმეცა, ეფეღჯა, ვეღარ მითქჷია და; მას უკა აბლი კიღეღ გეღღდება; იმის ღჯალის უკანაღც ყანა არი; გეღეღხეღავ და, ჩანსა იგერ.

როგორც ჩვენ მიერ ჩანერიღი მასალიღან ჩანს, **ღ** ტაოურში საკმაოდ ხშირია. შღრ. შ. ფუტკარაძის აზრით, ტაოურში, მსგავსად იმერხეულისა,

დ თითქმის აღარ გამოიყენება და გვხვდება მხოლოდ თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში Y-ს გადმოსაცემად (ფუტკარაძე 1995: 333).

II. ჭ ტაოურში გვხვდება შემდეგ პოზიციებში: 1. **C – V** (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის), 2. **C – C** (თანხმოვანსა და თანხმოვანს შორის), 3. **V – C** (ხმოვანსა და თანხმოვანს შორის); 4. **V – #** (ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ); 5. **# – V** (ხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ); 6. **V – V** (ხმოვანთა შორის); **# – C** (თანხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ). ამათგან ყველაზე ხშირია თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პიზიცია.

1. C – V: ჩვენ რაცხა გუყვოთა იმა ფთიბაფთ; მოფსწყაფთ თუელი მოვა, იმა ემევილეფთ; ახ ქუყავან და დათხუეთ, მოათხუეთ გუათეფ; თქუენ თუელი არ ეტყვით თთუელსა?; ჩუენი სოფლიდამ ხუთი ხანე ზე დვასა; იქ გუაქუა ქოხი და იქ მივდივართ; ახლა ქუეში ჩამეველით; იმის სახელი ნელი ყუელ, სხუა ა მახსოვს რა გი..; ფირინჯის უკან მარილ ჩუაყრით, მარილის უკან მედხარშვის; ამა დავტეხაფთ, გუამავფქუაფთ, დონებ გაფხსნავთ; ემეფ ეტყუის, ნენეფ ეტყუის ბიჭს: ეს გავყილოთ ერთანეო; ერთ სოფელში ქი წევნეთო, მეხი ჩუმუა, დუეგვეცემო და კარგათ გავხერგნავსო; შათათი, კუირა; პატარასაც მოზუერი; თქუენ ცერცუი თესუიდიო?; გუეთხუები, ქი დაქუანინდები. ბიჭი დაქუანინდება, ბგანო გუთხუება, ა ისე; მოხრაკულ ვიჯებით, სუილი ემეფ ვიჯებით; ქუაბად მალავეს, ქუაბად იჯებდან ახლა; ლენჯებ ვაჩუებ მექთეფში;

2. C – C: პირტყუი გუყავან ოთხი, ისეფ წუასხამთ; ა, მინაში შემძურალნი; ასე შედქნა მოსულამდი, აპა; ო, ენ წინანინ ბეური ფურები გუყავდეს; ჰო, ჰო, დაფშუნილი და ნელი ყუელ ვიტყუით; ვთიბაფთ ჩუენ, მალეუბი ქუყავან და, ფურები ქუყავან; ჩასლოფ სარსა, წავა თაფხამი, გასულამდი; ექუს, ექუს; ო, იყუნეს ბეური; ბოდნა ასკრებ გუიკულენ; ასე წურილ-წურილ დაფხეფ; დეუსეკარას გიდებენ და დამდგურებულსკე წასულნიხან; ჩუენსთუნ ანჯახ ქუყოფნის.

3. V – C: ფურები თუ ბეური არდან, დიდი იჯონლება; დიკეული, ერთი დიკეული არი, ერთი ჯარი არი და ორი ფური არდან; აქეური ყომშები, ბითავა ერთგან ვიკრეფით; არა, არ გეუქეფეო; მუანთილი არ მყაჟდა; აქ დეუბადე; იქ დეუბადე, გეუზარდე; ძროხებ ვაჭმეფთ.

4. V – #: ჰო, ფქსოჟ, ე ძენკნით მოფქსოჟ;

5. # – V: ლებუო შორვა ვიქთა, რა უიცვი; წელის უკა ვიქთა, მარილის უკა ვიქთა, რა უიცვი;

6. V – V: ერთი მიმეუარდი, ხომ დადლაში აბარგული არ ყოფილა;

7. # – C: უნუელავ და ნანველავ არა იჯენ.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, **ჭ**-ს გამოვლენა შეუზღუდავია თითქმის ყველა პოზიციაში. იგი ძირითადად წყვილბაგისმიერი **ფ**-ს მონაცვლეა, რაც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. იშვიათად გვხვდება **უ**-ს პოზიციაში, **-ურ/-ულ** სუფიქსისეული **უ** ხმოვნის **ფ**, **ა** ხმოვნებთან მეზობლობაში დავინროების შედეგად ვეუბნეფით, დიკეული, აქეური... გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მოსალოდნელი კბილბაგისმიერი **ფ**-ს ნაცვლად წარმოდგენილია უმარცვლო **უ**, ხმოვნის მეზობლად, სიტყვის თავკიდურად: უიცვი < ვიცვი, უნველავ < ვნველავ,

თუმცა სისტემური სახე არ აქვს, ერთი და იმავე მოქმედის მეტყველებაშივე შეინიშნება მერყეობა აღნიშნულ პოზიციაში ჟ/ვ მონაცვლეობასთან დაკავშირებით.

შ. ფუტკარაძე მიიჩნევს, რომ ჟ გამოიყენება როგორც ვ-ს, ასევე უ-ს პოზიციაში, თუმცა მეცნიერი თვლის, რომ კბილბაგისმიერი ვ უფრო გავრცელებულია, ვიდრე წყვილბაგისმიერი ჟ (ფუტკარაძე 1995: 133-134). ჩვენი აზრით, გაანალიზებული მასალის საფუძველზე, უმარცვლო ალოფონი უფრო დიდი სიხშირით გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ ჟ სისტემურადაა წარმოდგენილი შემდეგ სიტყვებში: ბეჭი, ცხაჩი, შაჩი, ძაჩი/ზაჩი, წისქვილი/წისკვილი, ფქვილი.

წყვილბაგისმიერი ჟ სონანტი ხმოვანთან ქმნის დიფთონგს, ხოლო თანხმოვანთან ლაბიალიზებულ კომპლექსს.⁵

როგორც წარმოდგენილი კვლევებიდან ჩანს, ტაოურში, როგორც სალიტერატურო ქართულში, ფონემატური ღირებულების ხუთი ხმოვანი გვაქვს: ა, ე, ი, ო, უ. მათი დისტრიბუცია თავისუფალია და ისინი წარმოებისა და რავგარობის მიხედვითაც იდენტურია. ამათ გარდა, სხვადასხვა პოზიციის მიხედვით გამოვლენილი ფონეტიკური ვარიანტებია: ა, ე, ი, ო, უ, ჟ (<უ), გ, ჟ, ო, რომლებიც მეტ-ნაკლებად სხვა ქართველურ ქვესისტემებშიც დასტურდება.

დამონშებული ლიტერატურა

ახვლედიანი 1938: ახვლედიანი გ., ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, I. თბილისი, 1938.

ახვლედიანი 1953: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1953.

ბერიძე 1993: ბერიძე მ., სამცხურის ძირითადი თავისებურებანი (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1993.

გამყრელიძე... 1965: გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965.

გამყრელიძე... 2003: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003.

გაფრინდაშვილი 1955: გაფრინდაშვილი შ., ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII. თბილისი, 1955.

დადიანი... 2010: დადიანი ე., მიქაუტაძე მ., ფონემატური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხისათვის იმერხეულში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “ენა როგორც კულტურათაშორისი მედიატორი” წაკითხული მოხსენებების კრებული. ქუთაისი, 2010.

⁵ ტერმინი „ლაბიალიზებული კომპლექსი“ დაამკვიდრა გიორგი როგავამ (იხ. ჩიქობავა ცერცვაძე 1962: 82, სქოლიო).

ერთელიშვილი 1963: ერთელიშვილი ფ., უმარცვლო უ ძველ ქართულში. თსუ შრომები, ტ. 96 (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია). თბილისი, 1963.

სარჯველაძე 1985: სარჯველაძე ზ., უმლაუტის კვალი ქართულში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 120, I. თბილისი, 1985.

სარჯველაძე 1997: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა. თბილისი, 1997.

უთურგაიძე 1966: უთურგაიძე თ., ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი. კრებული მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები. თბილისი, 1966.

ფალავა 2003: ფალავა მ., სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა (სადოქტორო დისერტაცია). ბათუმი, 2003.

ფალავა... 2005: ფალავა, მ. ცინცაძე მ., მაკარაძე ე., დიასამიძე რ., თანდილაშვილი ლ., ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV. ბათუმი, 2005.

ფოგტი 1962: ფოგტი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი, 1962.

ფუტკარაძე 1986: ფუტკარაძე ტ., სახელის ფორმანარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი, 1986.

ფუტკარაძე 1996: ფუტკარაძე ტ., ლაბიალიზაციისა და უმლაუტიზაციის მიმართებისათვის (ხევსურულის, მოხეურისა და ინგილოურის მიხედვით). არნ. ჩიქობავას საკითხავები, VII, მუშაობის გეგმა და თეზისები. თბილისი, 1996.

ფუტკარაძე 1997: ფუტკარაძე ტ., ჟ სონანტი, ვ სპირანტი თუ ჟ|ვ სონორი? მე-17 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. თელავი, 1997.

ფუტკარაძე 1998: ფუტკარაძე ტ., ხმოვანთა ადაპტაციისათვის ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბილისი, 1998.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი I. ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე 1995: ფუტკარაძე შ., ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით (სადოქტორო დისერტაცია). თბილისი, 1995.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989.

ჯორბენაძე 1995: ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები. თბილისი, 1995.

ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II. თბილისი, 1998.